ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 19 აპრილის ბიუროს სხდომის

დღის წესრიგი

1. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 13 მაისის საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ

მომხს: მანანა ბარბაქაძე

საკრებულოს თავმჯდომარე მანანა ბარბაქაძე

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს 2021 წლის 19 აპრილის სხდომის

ო ქ მ ი №9

დ. ხარაგაული

9 აპრილის ქ. #15 19 აპრილი 2021 წელი

სხდომას თავმჯდომარეობდა - მანანა ბარბაქაძე - საკრებულოს თავმჯდომარე

სხდომას ესწრებოდნენ ბიუროს წევრები:

რუსუდან გიორგაძე - საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე,

პავლე კიკალიშვილი საკრებულოს საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე,

მალხაზი ფხალაძე - საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე,

ოთარ ლურსმანაშვილი - საკრებულოს იურიდიული, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე,

გივი თხელიძე- საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე,

დავით კიკნაძე განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე.

იუზა კელენჯერიძე - ფრაქცია „ ქართული ოცნება - მრეწველები“ - ს თავმჯდომარე,

აკაკი ლურსმანაშვილი - ფრაქცია „ მოძრაობა ხარაგაულისათვის“ თავმჯდომარე,

პაატა გოგოლაძე -ფრაქცია „ ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ - ს“ თავმჯდომარე,

ინგა მაღრაძე - ფრაქცია „თვითმმართველობა ხალხისათვის“ თავმჯდომარე,

გივი თავზარაშვილი - ფრაქცია „ ქართული ოცნება - კონსერვატორები“ - ს

მერიის წარმომადგენლები:

ვარლამ ჭიპაშვილი - მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე

პეტრე შარიქაძე - მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამსახური განყოფილების უფროსი, სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი

მაია ალავიძე -მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახური განყოფილების უფროსი, სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი

საინფორმაციო საშუალებათა წარმომადგენლები:

მ. შარიქაძე -ა.ა.ი.პ ,,მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების ცენტრი“-ს ჟურნალისტი ,

მ. შათირიშვილი - მერიის ადმინისტრაციული სამსახურის საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების სპეციალისტი

ს. გლუნჩაძე - მერიის ადმინისტრაციული სამსახურის საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების ოპერატორი

საკრებულოს აპარატი:

ლ. კალანდაძე - საკრებულოს აპარატის უფროსი,

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარის მანანა ბარბაქაძის ინფორმაცია, რომელმაც ბიუროს წევრებს გააცნო ბიუროს სხდომის დღის წესრიგი და საკითხთა ნუსხა,

დღის წესრიგი

1. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 13 მაისის

საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ

მომხს: მანანა ბარბაქაძე

საკითხთა ნუსხა

1. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამსახურის ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ

მომხს: პეტრე შარიქაძე

2. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 09 მარტის N50/11 განკარგულებაში „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ობიექტთა ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხს: მაია ალავიძე

3. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 09 მარტის N50/12 განკარგულებაში „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ობიექტთა გეგმის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხს: მაია ალავიძე

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება დღის წესრიგისა და საკითხთა ნუსხის დამტკიცების თაობაზე .

კენჭისყრაში მონაწილეობას იღებდა ბიუროს 12 წევრი:

მომხრე 12

წინააღმდეგი 0

დღის წესრიგი და საკითხთა ნუსხა დამტკიცებული იქნა(თან ერთვის).

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამსახურის განყოფილების უფროსის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელის პეტრე შარიქაძის ანგარიში - **ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამსახურის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ**

აზრი გამოთქვეს:

დ. კიკნაძემ, რომელმაც აღნიშნა, რომ ზარანში გზის რეაბილიტაცია დასრულდა, მაგრამ გზა ჩავარდა, მშენებელი ტელეფონზე არ მპასუხობს, ჩასაწყობია წყალგამტარები.

ვ. ჭიპაშვილმა უპასუხა, რომ იყო ხარვეზები, კომპანია დაჯარიმებულია, აქვს ვადა და მიმდინარეობს მუშაობა

ი. მაღრაძემ, აღნიშნა, რომ დიდვაკის ხიდის პრობლემა ისევ მოუგვარებელია,

მ. ბარბაქაძემ განმარტა, რომ აღნიშნული ხიდის მშენებლობას 1მლნ. ლარი ჭირდება ამას ემატება ისიც, რომ ტერიტორია სადაც ხიდია განთავსებული კერძო პირისაა და ნებართვის გარეშე მშენებლობა ვერ მოხდება, ამ თანხით 7 ხიდ- ბოგირი გავაკეთეთ, თუმცა ერთი კაციც აუცილებელია ჩვენთვის და ყურადღება სჭირდება.

ვ. ჭიპაშვილმა აღნიშნა, რომ ადგილობრივი რესურსი არ არის, ზუსტდება სამართლებრივი საფუძვლები

პ. კიკალიშვილმა აღნიშნა, რომ ორი წელია ვითხოვ დევის ხვრელამდე მივიყვანოთ გზა,

გ. თხელიძემ დააყენა საკითხი პატარა ხარაგაულში მრავალბინიანი საცხოვრებელის ეზოს მობეტობებისს თაობაზე და იერსახის გაუმჯობესებაზე,

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხის 2021 წლის 13 მაისის საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგში შეტანასთან დაკავშირებით

კენჭისყრაში მონაწილეობას იღებდა ბიუროს 12 წევრი:

მომხრე 12

წინააღმდეგი 0

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1. საკითხი შეტანილ იქნეს საკრებულოს 2021 წლის 13 მაისის მორიგი

სხდომის დღის წესრიგში.

2.საკითხის განხილვა დაევალა საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის თავმჯდომარეს მალხაზ ფხალაძეს.

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის განყოფილების უფროსის , სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის მაია ალავიძის ინფორმაცია საკითხზე - **ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 09 მარტის N50/11 განკარგულებაში „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ობიექტთა ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე**

საკითხთან დაკავშირებით შეკითხვები არ დასმულა

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხის 2021 წლის 13 მაისის საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგში შეტანასთან დაკავშირებით

კენჭისყრაში მონაწილეობას იღებდა ბიუროს 12 წევრი:

მომხრე 12

წინააღმდეგი 0

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1.საკითხი შეტანილ იქნეს საკრებულოს 2021 წლის 13 მაისის მორიგი სხდომის დღის წესრიგში.

2.საკითხის განხილვა დაევალა საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის საკითხი კომისიის თავმჯდომარეს მალხაზ ფხალაძეს.

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის განყოფილების უფროსის , სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის მაია ალავიძის ინფორმაცია საკითხზე - **ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 09 მარტის N50/12 განკარგულებაში „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ობიექტთა გეგმის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე**

საკითხთან დაკავშირებით შეკითხვები არ დასმულა

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხის 2021 წლი13 მაისის საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგში შეტანასთან დაკავშირებით

კენჭისყრაში მონაწილეობას იღებდა ბიუროს 12 წევრი:

მომხრე12

წინააღმდეგი 0

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1. საკითხი შეტანილ იქნეს საკრებულოს 2021 წლის 13 მაისის მორიგი სხდომის დღის წესრიგში

2.საკითხის განხილვა დაევალა საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და

ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის თავმჯდომარეს მალხაზ ფხალაძე

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1. **დამტკიცდეს 2021 წლის 13 მაისის საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგი (თან ერთვის).**

ამით ბიუროს სხდომის მიერ განსახილველი საკითხი ამოიწურა და სხდომა დახურულად გამოცხადდა.

სხდომის თავმჯდომარე **მანანა ბარბაქაძე**